

საქართველოს კანონი
საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური
სააგენტოს შესახებ

თავი I
ძირითადი დებულებები

მუხლი 1. კანონის მიზანი

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) სტატუსს, მისი საქმიანობის ძირითად პრინციპებს, ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს, სააგენტოს საქმიანობის კონტროლისა და ზედამხედველობის ფორმებს და სხვა საკითხებს.

მუხლი 2. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სტრატეგიული მონიტორინგის ღონისძიება - სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო მიზნებისთვის საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, ასევე იმ ტერიტორიაზე, სადაც არ ვრცელდება საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების მეშვეობით გადაცემული სატელეკომუნიკაციო ნაკადის მონიტორინგი საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, თავდაცვისუნარიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, მართლწესრიგის, სამეცნიერო-ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით.

ბ) ინდივიდუალური მონიტორინგის ღონისძიება - სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო მიზნებისთვის საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, კონკრეტული საკომუნიკაციო აღჭურვილობის ტექნიკური იდენტიფიკატორის მეშვეობით ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით გადაცემული საკომუნიკაციო შეტყობინებების მონიტორინგი საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, თავდაცვისუნარიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, მართლწესრიგის, სამეცნიერო-ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით.

გ) ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებები:

გ.ა) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143¹ მუხლის პირველი ნაწილის "ა-ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფარული საგამომიებო მოქმედებები;

გ.ბ) "კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის "ა-გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებები;

გ.გ) ამ კანონით გათვალისწინებული სტრატეგიული და ინდივიდუალური მონიტორინგის ღონისძიებები;

დ) კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების ტექნიკური შესაძლებლობა - ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის მეშვეობით გადაცემული კომუნიკაციის და მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გადაჭერა კომუნიკაციის მიმდინარეობისას ან მისი დასრულებისთანავე კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების სტაციონარული ან არასტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენებით ე) კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა - წინასწარ განსაზღვრული არქიტექტურითა და დადგენილი ინტერფეისებით, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელით გადაცემული კომუნიკაციის და მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გადაჭერა უფლებამოსილი ორგანოს მიერ კომუნიკაციის მიმდინარეობისას ან მისი დასრულებისთანავე, ავტორიზებული პირის სასადაგურე და ქსელურ ინფრასტრუქტურაზე შესაბამისი აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების განთავსებით/მონტაჟით;

ვ) კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების ნახევრად-სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა - ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელით გადაცემული კომუნიკაციის და მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გადაჭერა უფლებამოსილი ორგანოს მიერ კომუნიკაციის მიმდინარეობისას ან მისი დასრულებისთანავე ავტორიზებული პირის ქსელურ ან/და სასადაგურე ინფრასტრუქტურაზე შესაბამისი აპარატურული ან/და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების დროებითი ან მუდმივი განთავსებით/მონტაჟით;

ზ) კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების არასტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა - ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელით გადაცემული კომუნიკაციის და მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გადაჭერა უფლებამოსილი ორგანოს მიერ კომუნიკაციის მიმდინარეობისას ან მისი დასრულებისთანავე ავტორიზებული პირის ქსელურ ან/და სასადაგურე ინფრასტრუქტურაზე დაერთების გარეშე, სპეციალური ტექნიკური და პროგრამული საშუალებების გამოყენებით;

თ) ავტორიზებული პირი - "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზებული პირი;

ი) "კონტრაზვერვითი საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143¹ მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფარული საგამომიებო მოქმედების კონტროლის ელექტრონული სისტემა (შემდეგში კონტროლის ელექტრონული სისტემა) - ტექნიკურ და პროგრამულ გადაწყვეტილებათა ერთობლიობა, რომელიც იძლევა:

ი.ა. ობიექტების ტექნიკური იდენტიფიკატორის აქტივაციის შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მონიტორინგის სისტემის მიერ ინიცირებულ ბრძანებათა ზედამხედველი მოსამართლისთვის მიწოდების, აღნიშნულ ბრძანებათა გამიჯვნის და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის სისხლის სამართლის საპროცესო

კოდექსის 143¹ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე ინიცირებულ ბრძანებათა გადაგზავნის შესაძლებლობას;

ი.ბ. ზედამხედველი მოსამართლის მიერ "კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის 14⁴ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში და საფუძველით ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143⁷ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში და საფუძველით ფარული საგამომიებო მოქმედების განხორციელების შეჩერების შესაძლებლობას;

კ) კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემა - ტექნიკურ და პროგრამულ გადაწყვეტილებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს უფლებამოსილი ორგანოს მონიტორინგის სისტემის მიერ ობიექტის ტექნიკური იდენტიფიკატორის აქტივაციის შესახებ ინიცირებულ ბრძანებათა ლოგირების მონაცემების კრიპტოგრაფული მეთოდების გამოყენებით დამუშავებას, მართლზომიერი გადაჭერის მენეჯმენტის სისტემის მიერ აღსრულებულ ბრძანებათა ლოგირების მონაცემების ავტომატურ მიწოდებას ზედამხედველი მოსამართლისთვის, ამ მონაცემების კრიპტოგრაფული მეთოდების გამოყენებით დამუშავებას, მიღებული შედეგების ავტომატურ შედარებას და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143¹ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე განხორციელებული ქმედებების ლოგირების მონაცემების პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის გადაგზავნას;

ლ) ელექტრონული კომუნიკაციის მონაცემთა ცენტრალური ბანკის კონტროლის ელექტრონული სისტემა - ტექნიკურ და პროგრამულ გადაწყვეტილებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლის და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების ლოგირების მონაცემების და შესაბამისი სამართლებრივი საფუძველების ავტომატურ მიწოდებას ზედამხედველი მოსამართლისთვის, აღნიშნული მონაცემების გამიჯვნას და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის და "ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მესამე პუნქტის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე გამოთხოვილი ინფორმაციის ლოგირების მონაცემების და შესაბამისი სამართლებრივი საფუძველის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის გადაგზავნას.

მ) გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა - წინასწარ დადგენილი არქიტექტურითა და ინტერფეისებით მობილური საკომუნიკაციო აღჭურვილობის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის რეალურ დროში განსაზღვრა მაქსიმალურად შესაძლო სიზუსტით ავტორიზებული პირის სასადგურე ან/და ქსელურ ინფრასტრუქტურაზე შესაბამისი პროგრამული და აპარატურული უზრუნველყოფის საშუალებების განთავსებით/მონტაჟით.

ნ) გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის არასტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა - მობილური საკომუნიკაციო აღჭურვილობის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის რეალურ დროში განსაზღვრა მაქსიმალურად შესაძლო სიზუსტით

ავტორიზებული პირის სასადაგურე ან/და ქსელურ ინფრასტრუქტურაზე დაერთების გარეშე სპეციალური ტექნიკური ანდა პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენებით.

ო) გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემა - ტექნიკურ და პროგრამულ გადაწყვეტილებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ობიექტის ტექნიკური იდენტიფიკატორის აქტივაციის შესახებ ინციირებულ ბრძანებათა ლოგირების მონაცემების კრიპტოგრაფული მეთოდების გამოყენებით დამუშავებას, აღსრულებულ ბრძანებათა ლოგირების მონაცემების ავტომატურ მიწოდებას ზედამხედველი მოსამართლისთვის, ამ მონაცემების კრიპტოგრაფული მეთოდების გამოყენებით დამუშავებას, მიღებული შედეგების ავტომატურ შედარებას და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143¹ მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განხორციელებული ქმედებების ლოგირების მონაცემების პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის გადაგზავნას.

მუხლი 3. საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო

1. საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო არის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში.

2. სააგენტო არის სპეციალური დანიშნულების დაწესებულება. სააგენტო ასევე წარმოადგენს განსაკუთრებული რეჟიმის სტატუსის მქონე დაწესებულებას.

3. სააგენტო შედგება სტრუქტურული ქვედანაყოფებისგან. სააგენტოს შეიძლება ჰქონდეს ტერიტორიული ორგანოები.

4. სააგენტოს დებულებას ამტკიცებს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი.

5. დაუშვებელია სააგენტოს საქმიანობაში სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების და თანამდებობის პირების უკანონო ჩარევა.

6. სააგენტო და მისი თანამდებობის პირები უფლებამოსილი არიან სააგენტოს სამართლებრივ აქტებზე, ბლანკებზე, ბეჭდებზე და შტამპებზე სრული სახით გამოიყენონ საქართველოს სახელმწიფო გერბი.

7. სააგენტო უფლებამოსილია მის საქმიანობაში ამ კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელებისას მატერიალური ან/და ელექტრონული დოკუმენტის სახით შექმნას, მიიღოს და შეინახოს ნებისმიერი დოკუმენტი, აგრეთვე გამოიყენოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებები, ელექტრონული ხელმოწერა. დოკუმენტზე ელექტრონულ ხელმოწერას აქვს მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.

8. სააგენტოს უფლება აქვს, ამ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას, მის მიერ დამუშავებულ მატერიალურ დოკუმენტებზე პირადი ხელმოწერა შეასრულოს ფაქსიმილიეს გამოყენებით. ფაქსიმილიეს გამოყენებით შესრულებულ ხელმოწერას აქვს პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.

მუხლი 4. სააგენტოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

1. სააგენტოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ეს კანონი, საქართველოს სხვა კანონები, სააგენტოს დებულება, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, სააგენტოს უფროსის სამართლებრივი აქტები და სხვა ნორმატიული აქტები.

2. სააგენტოსა და მის მოსამსახურეებზე ვრცელდება "საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი, ასევე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტები ამ კანონით გათვალისწინებული თავისებურებების შესაბამისად.

3. სააგენტოს საქმიანობაზე არ ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის, 10¹ და 10² მუხლები და მე-14 მუხლის მე-2 ნაწილის მოქმედება.

მუხლი 5. სააგენტოს დამოუკიდებლობის გარანტიები

1. სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებლად ასრულებს მისთვის დაკისრებულ ამოცანებს.

2. დაუშვებელია სააგენტოს საქმიანობაში სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების და თანამდებობის პირების უკანონო ჩარევა.

3. სააგენტოს უფროსის კანდიდატურის შერჩევა ხორციელდება ამ კანონის შესაბამისად შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ.

4. სააგენტოს მოსამსახურე თავის სამსახურებრივ საქმიანობაში დამოუკიდებელია. იგი არ შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესისა.

5. სააგენტოს ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იქნეს ცალკე ორგანიზაციული კოდით. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში სააგენტოსთვის განკუთვნილი ხარჯების შემცირება წინა წლის შესაბამის მოცულობასთან შედარებით შეიძლება მხოლოდ სააგენტოს წინასწარი თანხმობით.

6. სამართლებრივ აქტებს, რომელიც ეხება ფარული საგამოძიებო მოქმედების და ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების განხორციელებას, ამ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაცნობას, დამუშავებას, შენახვას, გაცემას და განადგურებას კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის არქიტექტურისა და შესაბამისი ინტერფეისების განსაზღვრის, ასევე ინფორმაციული აქტივების მართვის წესებს, კერძოდ, მათი აღწერის, კლასიფიცირების, წვდომის, გაცემის (გამოქვეყნების), შეცვლისა და განადგურების წესებს, იღებს სააგენტოს უფროსი. ამ აქტების გაუქმებისა და მასში ცვლილების შეტანის უფლება აქვს სააგენტოს უფროსს.

7. სააგენტოს საერთაშორისო და სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობებში წარმოადგენს სააგენტოს უფროსი.

8. სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში თავისი სახელით დებს უწყებათაშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

მუხლი 6. სააგენტოს საქმიანობის ძირითად პრინციპები

სააგენტოს საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

ა) საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო სამართლებრივი აქტებითა და ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და პატივისცემა;

ბ) კანონიერება;

გ) დამოუკიდებლობა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტი;

დ) საქმიანობის ღია და ფარული მეთოდების ერთობლიობა;

ვ) კონსპირაცია;

ზ) ერთიანობა და ცენტრალიზაცია.

თავი II

სააგენტოს ამოცანები და უფლებამოსილებები

მუხლი 7. სააგენტოს ამოცანები

სააგენტოს ამოცანებია:

ა) კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილი ორგანოს მომართვის საფუძველზე, სპეციალური ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით, ფარული მეთოდებით საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, თავდაცვისუნარიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, მართლწესრიგის და სამხედრო პოტენციალის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა შესახებ ინფორმაციის და სისხლის სამართლის საქმეზე ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება და ამ მიზნით ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც უკავშირდება:

ა.ა) სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებას და ჩაწერას;

ა.ბ) კავშირგაბმულობის არხიდან ინფორმაციის მოპოვებას;

ა.გ) კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოპოვებას;

ა.დ) გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრას;

ა.ე) საფოსტო სატელეგრაფო გზავნილთა კონტროლს;

ა.ვ) ფარულ აუდიო ან/და ვიდეო ჩაწერას, ფოტო გადაღებას;

ბ) ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

გ) სახელმწიფო უწყებებისა და დაწესებულებების საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფა.

მუხლი 8. სააგენტოს უფლებამოსილებები

1. კანონის მე-7 მუხლის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ამოცანების განხორციელების მიზნით სააგენტო უფლებამოსილია:

ა) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილი ორგანოს მიმართვის საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიაზე, განახორციელოს:

ა.ა) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143¹ მუხლის პირველი ნაწილის "ა-დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფარული საგამომიებო მოქმედებები;

ა.ბ) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143¹ მუხლის პირველი ნაწილის "ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფარული საგამომიებო მოქმედებები;

ა.გ) "კონტრაზვერვითი საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის "ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებები და ამავე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებები;

ბ) ამ კანონით დადგენილი წესით მოიპოვოს და გასცეს ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები;

გ) ამ კანონით დადგენილი წესით განხორციელოს სტრატეგიული მონიტორინგის ღონისძიებები;

დ) ამ კანონით დადგენილი წესით განხორციელოს ინდივიდუალური მონიტორინგის ღონისძიებები;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით სააგენტო უფლებამოსილია:

ა) იქონიოს კომუნიკაციის შინაარსისა და მაიდენტიფიცირებელი მონაცემების რეალურ დროში მოპოვების ტექნიკური შესაძლებლობა ამ კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად;

ბ) იქონიოს გეოლოკაციის მონაცემების რეალურ დროში მოპოვების ტექნიკური შესაძლებლობა ამ კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად;

გ) შექმნას მომხმარებელის და ელექტრონული კომუნიკაციების მაიდენტიფიცირებელი მონაცემების ცენტრალური ბანკი ამ კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად;

დ) შეიძინოს, შექმნას და კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოიყენოს აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებისთვის აუცილებელი ტექნიკური, პროგრამული და აპარატურული უზრუნველყოფის საშუალებები;

ე) სასყიდლით ან უსასყიდლოდ წერილობითი შეთანხმებით საფუძველზე იყენებდეს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა, აგრეთვე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ქონებას;

ვ) კონსპირაციის მიზნით მოამზადოს და გამოიყენოს დოკუმენტები, რომლებშიც შენიღბულია სააგენტოს ცალკეულ მოსამსახურეთა ვინაობა, ქვედანაყოფების დასახელება, ქონება;

ზ) განახორციელოს "ოპერატიულ-სამძებრო" საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის "ა-ბ," "ე," "ზ" და "ლ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები.

3. სააგენტო უფლებამოსილია ავტორიზებული პირის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების კონტროლის

მიზნით განახორციელოს ავტორიზებული პირის საინფორმაციო-ტექნოლოგიური და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის აუდიტი.

4. სახელმწიფო უწყებებისა და დაწესებულებების საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფის მიმართულებით:

ა) განახორციელოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ტექნოლოგიური მომსახურება და შიდაუწყებრივი საკომუნიკაციო ქსელებით უზრუნველყოფა;

ბ) შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციოს სისტემების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ჩაატაროს ინფორმაციული ტექნოლოგიების (სისტემების) აუდიტი;

გ) უზრუნველყოს სასაზღვრო ტექნოლოგიების განვითარება და სასაზღვრო გამტარი პუნქტების საინფორმაციო-ტექნოლოგიური მომსახურება;

დ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან კოორდინაციით უზრუნველყოს სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე ბირთვული, რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური უსაფრთხოება;

ე) უფლებამოსილ ორგანოებთან კოორდინაციით უზრუნველყოს ბირთვული, რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური უსაფრთხოება ქვეყნის ტერიტორიაზე;

ვ) განახორციელოს საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ გამოყოფილი რადიო სიხშირეების მართვა კონტროლი და უსაფრთხოება;

ზ) განახორციელოს კომპიუტერული მონაცემების ექსპერტიზა, ასევე შეიმუშავოს და სააგენტოს ნორმატიული აქტით დაამტკიცოს საგამომიებო მოქმედებების განხორციელებისას კომპიუტერულ მონაცემებთან პირველადი მოპყრობის და მათი საექსპერტო კვლევის წესები;

თ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასცეს ელექტრონული კომუნიკაციების მონიტორინგის სისტემების დამზადების, იმპორტის ან ექსპორტის ლიცენზია და ამ მიზნით სააგენტოს ნორმატიული აქტით განსაზღვროს ლიცენზიის მოპოვების წესი და პირობები;

ი) განახორციელოს ამ კანონით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

მუხლი 9. კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების ტექნიკური შესაძლებლობა

1. ელექტრონული საკომუნიკაციო გადაცემული კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვებას სააგენტო ახორციელებს სტაციონარული, ნახევრადსტაციონარული ან არასტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენებით.

2. კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის ქონის მიზნით სააგენტო უფლებამოსილია:

ა) ავტორიზებული პირის სასადგურე და ქსელურ ინფრასტრუქტურაზე, საჭიროების შემთხვევაში, უსასყიდლოდ განათავსოს/დაამონტაჟოს მართლზომიერი გადაჭერის მენეჯმენტის სისტემა ან/და მასთან დაკავშირებული/მისი

ფუნქციონირებისათვის აუცილებელი აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებები;

ბ) მოსთხოვოს ავტორიზებულ პირს ჰქონდეს მისი ინფრასტრუქტურის მეშვეობით განხორციელებული კომუნიკაციის შინაარსისა და მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების უფლებამოსილი ორგანოს მონიტორინგის სისტემისთვის რეალურ დროში მიწოდების ტექნიკური შესაძლებლობა კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობით განსაზღვრული არქიტექტურისა და ინტერფეისების შესაბამისად;

გ) ნორმატიული აქტით განსაზღვროს კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის არქიტექტურა და შესაბამისი ინტერფეისები.

3. იმ შემთხვევაში, თუ ავტორიზებული პირის სასადგურე ან ქსელური ინფრასტრუქტურა არ იძლევა კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის ორგანიზების საშუალებას, სააგენტო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების ნახევრად-სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენების შესახებ. კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების ნახევრად-სტაციონარული შესაძლებლობის ქონის მიზნით სააგენტო უფლებამოსილია:

ა) ავტორიზებული პირის სასადგურე ან/და ქსელურ ინფრასტრუქტურაზე, საჭიროების შემთხვევაში, უსასყიდლოდ განათავსოს/დაამონტაჟოს სათანადო აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებები;

ბ) ნორმატიული აქტით განსაზღვროს ნახევრად-სტაციონალური ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენებით ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელით გადაცემული კომუნიკაციის შინაარსისა და მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მოპოვების წესი და პროცედურა.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სააგენტო ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ან ზედამხედველ მოსამართლეს ნახევრად-სტაციონალური ტექნიკური შესაძლებლობის ორგანიზების შესახებ.

5. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143¹ მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ფარულ საგამომიებო მოქმედებას, "კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებას სააგენტო იმ ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდება საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია ახორციელებს კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენებით;

6. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143¹ მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ფარულ საგამომიებო მოქმედებას, "კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებას სააგენტო ახორციელებს

კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების სტაციონარული ან/და არასტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენებით.

7. ამ კანონის მე-15-ე მუხლით გათვალისწინებულ სტრატეგიული და ინდივიდუალური მონიტორინგის ღონისძიებებს სააგენტო ახორციელებს კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების არასტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენებით.

მუხლი 10. გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის ტექნიკური შესაძლებლობა

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143¹ მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ფარული საგამოძიებო მოქმედებას და "კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებას სააგენტო ახორციელებს გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის სტაციონარული ან არასტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობების გამოყენებით;

2. მობილური საკომუნიკაციო აღჭურვილობის გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის ქონის მიზნით, სააგენტო ქმნის გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს:

ა) სსიპ "112"-ში განხორციელებული შეტყობინების ინიციატორი მობილური საკომუნიკაციო აღჭურვილობის გეოლოკაციის რეალურ დროში, ავტომატურ რეჟიმში, მაქსიმალურად შესაძლო სიზუსტით განსაზღვრის შესაძლებლობას;

ბ) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143¹ მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების და "კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების, ასევე "ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მესამე პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების აღსრულების მიზნით, მობილური საკომუნიკაციო აღჭურვილობის ტექნიკური იდენტიფიკატორის აქტივაციის შესახებ ბრძანების ინიცირებით მისი გეოგრაფიული ლოკაციის რეალურ დროში მაქსიმალურად შესაძლო სიზუსტით განსაზღვრის შესაძლებლობას.

3. გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის სტაციონარული სისტემის შექმნის მიზნით, სააგენტო უფლებამოსილია:

ა) ჰქონდეს იმ ავტორიზებული პირის სასადგურე და ქსელური ინფრასტრუქტურიდან, რომელიც ახორციელებს მობილური საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფას ან/და მომსახურებას გეოლოკაციის მონაცემების რეალურ დროში მიღების შესაძლებლობა და ამ მიზნით ინფრასტრუქტურის აღნიშნულ ელემენტებთან უსასყიდლოდ განათავსოს/დამონტაჟოს სათანადო აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებები.

ბ) დაადგინოს გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის სისტემის არქიტექტურა და ტექნიკური მოთხოვნები.

მუხლი 11. მომხმარებლის და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების ცენტრალური ბანკი

1. მომხმარებლის და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემის მიზნით სააგენტო ქმნის მომხმარებლის და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების ცენტრალურ ბანკს.

2. მონაცემთა ცენტრალური ბანკის შექმნის მიზნით სააგენტო უფლებამოსილია:

ა) ჰქონდეს დისტანციური წვდომა ავტორიზებული პირის მომხმარებლებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების ბაზებზე და განახორციელოს მათი კოპირება და შენახვა;

ბ) განსაზღვროს კოპირების ტექნიკური აღსრულების წესი და პროცედურა;

გ) მოსთხოვოს ავტორიზებულ პირს მომხმარებლის და კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შენახვა იმ ვადით, რაც აუცილებელია კოპირების პროცესის ტექნიკური აღსრულებისთვის.

მუხლი 12. სააგენტოს ექსკლუზიური კომპეტენცია

ამ კანონის მე-7 მუხლის "ა.ა.-ა.ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ამოცანების განხორციელება, ასევე მე-8 მუხლის პირველი პუნქტის "ა.ა", ა.გ", "ბ" და "გ" ქვეპუნქტებით, მე-2 პუნქტის "ა-გ" ქვეპუნქტებით, მე-9-11 მუხლებით გათვალისწინებული უფლებამოსილებები განეკუთვნება სააგენტოს ექსკლუზიურ კომპეტენციას. დაუშვებელია ანალოგიური უფლებამოსილების, ფუნქციებისა და ამოცანების მქონე სხვა სახელმწიფო ორგანოს შექმნა და ფუნქციონირება ქვეყნის ტერიტორიაზე.

თავი III

ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების განხორციელება და მომხმარებლის და კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შენახვა და გაცემა მონაცემთა ცენტრალური ბანკიდან

მუხლი 13. ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების განხორციელების საფუძველი

სააგენტოს მიერ ფარული მეთვალყურეობის ღონისძიების განხორციელების საფუძველია:

ა) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XVI¹ თავით შესაბამისად გაცემული მოსამართლის განჩინება ან პროკურორის მოტივირებული დადგენილება გადაუდებელი წესით ფარული საგამომიებო მოქმედების განხორციელების შესახებ;

ბ) "კონტრდაზვევრითი საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12-14 მუხლების შესაბამისად გაცემული საქართველოს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის

ბრძანება ან სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელის გადაწყვეტილება გადაუდებელი წესით ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების განხორციელების შესახებ;

გ) ამ კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად გაცემული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ბრძანება სტრატეგიული ან ინდივიდუალური მონიტორინგის ღონისძიების განხორციელების შესახებ.

მუხლი 14. ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების განხორციელების შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავება, შენახვა, განადგურება და გაცემა

1. ფარული საგამომიებო მოქმედების შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავებას, შენახვას, განადგურებას და გაცემას სააგენტო ახორციელებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით;

2. ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავებას, შენახვას, განადგურებას და გაცემას სააგენტო ახორციელებს "კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14² და 14³ მუხლებით დადგენილი წესით.

3. სტრატეგიული და ინდივიდუალური მონიტორინგის ღონისძიების შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავებას, შენახვას, განადგურებას და გაცემას სააგენტო ახორციელებს "კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14² და 14³ მუხლებით დადგენილი წესით.

მუხლი 15. ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შენახვა და გაცემა მონაცემთა ცენტრალური ბანკიდან

1. სააგენტო უფლებამოსილია ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემი შეინახოს არაუმეტეს 12 თვის ვადით.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შენახვის ვადის გაგრძელება შესაძლებელია 3 თვით საქართველოს მთავარი პროკურორის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ან საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიმართვის საფუძველზე უზენაესი სასამართლოს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე მოსამართლის განჩინებით.

3. ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შენახვის ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ვადის გაგრძელება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ:

ა) გამოცხადებულია საგანგებო ან საომარი მდგომარეობა და მომხმარებლის ან ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შეგროვება მნიშვნელოვანია ამ პირობების აღმოსაფხვრელად ან მათთან დაკავშირებული დანაშაულის გამოძიებასთან;

ბ) სახეზეა ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ტერორისტული საქმიანობის რეალური რისკი;

გ) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას, სუვერენიტეტს ან ტერიტორიულ მთლიანობას ექმნება რეალური და მცისიერი ან უახლეს მომავალში მკაფიოდ იდენტიფიცირებადი საფრთხე;

დ) გარკვეულ ვითარებაში კონკრეტული დანაშაულის გამოძიება (პასუხისმგებელ პირთა დადგენა) ან/და პრევენცია შესაძლებელია მხოლოდ მაინდენტიფიცირებელი მონაცემების შეგროვებით;

4. ელექტრონული კომუნიკაციის მაინდენტიფიცირებელი მონაცემების შენახვის ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ვადის გაგრძელება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილია საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირობების საფუძვლიანობას. მოსამართლე უნდა დარწმუნდეს, რომ არსებობს საკმარისი ინფორმაცია/მტკიცებულებები ამ ფაქტებისა და რისკების დასადასტურებლად.

5. მომხმარებლის და ელექტრონული კომუნიკაციის მაინდენტიფიცირებელი მონაცემების შენახვის ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ვადის გაგრძელების მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, საქართველოს მთავარი პროკურორის ან საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის უფროსის შუამდგომლობა წარედგინება საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე მოსამართლეს, რომელიც საკითხს იხილავს წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში. საკითხის განხილვა ხდება დახურულ სასამართლო სხდომაზე ზეპირი მოსმენით.

6. ამ მუხლის შესაბამისად წარდგენილი შუამდგომლობა, კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მოთხოვნების გარდა, უნდა იყოს დასაბუთებული და უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ელექტრონული კომუნიკაციის მაინდენტიფიცირებელი მონაცემების შენახვის გაგრძელების შესახებ დასაბუთებას (შესაბამის საფუძველსა და ინფორმაციაზე/მტკიცებულებებზე კონკრეტული მითითებით);

ბ) ელექტრონული კომუნიკაციის მაინდენტიფიცირებელი მონაცემების შენახვის ზუსტ ფარგლებს (მაინდენტიფიცირებელი მონაცემების კონკრეტული სახეების გათვალისწინებით ან პირთა შესაბამისი ჯგუფის მიმართ, რომელიც თავის მხრივ მკაფიოდ იდენტიფიცირებადი უნდა იყოს როგორც ტექნიკურად, ისე შინაარსობრივად);

გ) ელექტრონული კომუნიკაციის მაინდენტიფიცირებელი მონაცემების შენახვის ზუსტ ვადას;

7. ამ მუხლით განსაზღვრული ინფორმაციის შენახვის გაგრძელების შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე ამოწმებს პროპორციულობას, ანუ იმ საკითხს, თუ რამდენად გადაუდებელი და აუცილებელია მოთხოვნილი ღონისძიება იმ ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად, რომელიც წარმოდგენილია შუამდგომლობის ავტორების მიერ.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე მოსამართლე უფლებამოსილია გასცეს თანხმობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ამ მუხლის მოთხოვნები. თუ მოსამართლე ჩათვლის, რომ სახეზე არ არის ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული საფუძვლები, წარმოდგენილი მტკიცებულებები და ინფორმაცია არ ადასტურებენ წარდგენილ მოთხოვნას ან თუ

შუამდგომლობა წარდგენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ, ასევე იმ შემთხვევაში თუ შუამდგომლობის წარდგენის ფორმალური მოთხოვნები არ არის დაცული, შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდება. დაუშვებელია ხელახლა იმავე საფუძველით ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შენახვის ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობის წარდგენა, თუ მოსამართლემ უკვე უარი თქვა მის დაკმაყოფილებაზე.

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე მოსამართლე უფლებამოსილია გასცეს თანხმობა ინფორმაციის შენახვის გაგრძელების შესახებ იმაზე მცირე ვადით ან იმ ვადით, რომელიც მოთხოვნილია შუამდგომლობაში. მოსამართლე უფლებამოსილია გასცეს თანხმობა ინფორმაციის შენახვის გაგრძელების შესახებ იმ ფარგლებში ან იმაზე მცირე ფარგლებში ვიდრე ეს განსაზღვრულია შუამდგომლობაში (მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კონკრეტული სახეების გათვალისწინებით ან პირთა შესაბამისი ჯგუფის მიმართ, რომელიც თავის მხრივ მკაფიოდ იდენტიფიცირებადი უნდა იყოს როგორც ტექნიკურად, ისე შინაარსობრივად).

10. ამ მუხლით განსაზღვრული ინფორმაციის შენახვის გაგრძელების პროცედურა ვრცელდება მხოლოდ და მხოლოდ მოპოვებულ ინფორმაციაზე და არ მოიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც უნდა იქნას მოპოვებული სამომავლოდ.

11. ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გამოთხოვა გარდა ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, უფლებამოსილი ორგანოდან წარმოებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით და „კონტრდაზვერ ითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 14⁷ მუხლით დადგენილი წესით.

12. სააგენტო ქმნის ელექტრონულ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს სსიპ "112"-ში განხორციელებული შეტყობინებების ინიციატორი საკომუნიკაციო აღჭურვილობის მომხმარებლის შესახებ მონაცემების ავტომატურ მიწოდებას სსიპ "112"-სთვის.

მუხლი 16. სტრატეგიული და ინდივიდუალური მონიტორინგის ღონისძიებების განხორციელება

1. სტრატეგიული მონიტორინგის ღონისძიების განხორციელების საფუძველია საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე მოსამართლის ბრძანება სტრატეგიული მონიტორინგის ღონისძიების განხორციელების შესახებ.

2. სტრატეგიული მონიტორინგის ღონისძიების გამოყენებისთვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელის უფლებამოსილი წარმომადგენელი შუამდგომლობით მიმართავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს. შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს:

ა) დასაბუთებას, რომ ღონისძიების შედეგად შესაძლოა გამოვლენილ იქნეს მონაცემები იმ ფაქტებისა და მოვლენების (ან მათი ნიშნების) შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის ან შესაძლოა საფრთხე შეუქმნას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას;

ბ) დასაბუთებას, რომ სტრატეგიული მონიტორინგის ღონისძიების განხორციელება გამოწვეულია გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებით და წარმოადგენს თანაზომიერ საშუალებას მიზნის მისაღწევად;

გ) დასაბუთებას, რომ ამ პუნქტის ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემები პრაქტიკულად ვერ მოიპოვება სტრატეგიული მონიტორინგის ღონისძიების განხორციელების გარეშე;

დ) იმ შინაარსობრივი იდენტიფიკატორების დეტალურ აღწერას, რომელთა გამოყენებითაც უნდა განხორციელდეს ელექტრონული კომუნიკაციის ქსელებით გადაცემული იმ საკომუნიკაციო შეტყობინებების გამოვლენა, რომლებიც შეიცავენ ამ პუნქტის ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მონაცემებს;

ე) მოთხოვნას ღონისძიების განხორციელების პერიოდის შესახებ.

3. მოსამართლე სტრატეგიული მონიტორინგის ღონისძიების განხორციელების შესახებ შუამდგომლობას განიხილავს მისი მიღებიდან არაუგვიანეს 24 საათისა დახურულ სასამართლო სხდომაზე, სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელის უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობით და გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება, რომელიც საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება:

ა) გასცემს ბრძანებას სტრატეგიული მონიტორინგის ღონისძიების განხორციელების შესახებ;

ბ) გამოიტანს გადაწყვეტილებას შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

4. მოსამართლის ბრძანებაში უნდა მიეთითოს, რომ დასტურდება მე-2 პუნქტის "ა"- "გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობა. ბრძანებაში ასევე უნდა მიეთითოს:

ა) ბრძანების რეკვიზიტები - ნომერი; შედგენის თარიღი და ადგილი; მოსამართლის სახელი და გვარი, ხელმოწერა (მათ შორის ელექტრონული) საიდუმლოების აღმნიშვნელი გრიფი;

ბ) პირი, რომელმაც მოსამართლეს შუამდგომლობით მიმართა;

გ) განკარგულება სტრატეგიული მონიტორინგის ღონისძიების განხორციელების შესახებ;

დ) შინაარსობრივი იდენტიფიკატორების დეტალური აღწერა, რომელთა გამოყენებითაც უნდა განხორციელდეს სტრატეგიული მონიტორინგის ღონისძიება;

ე) დროის რა მონაკვეთში (დაწყებისა და დასრულების თარიღისა და დროის მითითებით) უნდა განხორციელდეს სტრატეგიული მონიტორინგის ღონისძიება;

ვ) საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო, როგორც უფლებამოსილი ორგანო, რომელმაც უნდა შეასრულოს ბრძანება;

ზ) სპეციალური სამსახურის დასახელება, რომელსაც უნდა გაეცნოს და გადაეცეს ღონისძიების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია.

5. ნებართვა სტრატეგიული მონიტორინგის ღონისძიების განხორციელების შესახებ გაიცემა იმ ვადით, რაც აუცილებელია მისი მიზნის მისაღწევად, მაგრამ არაუმეტეს 12 თვისა. აღნიშნული ვადის გაგრძელება შეიძლება მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე, თითოეულ ჯერზე იმავე წესით და საფუძველით, რაც დადგენილია თავდაპირველი ბრძანებისთვის.

6. ინდივიდუალური მონიტორინგის განხორციელების საფუძველია "კონტრდაზვევრითი საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის 12-14 მუხლებით დადგენილი წესით გაცემული მოსამართლი ბრძანება ან სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელის გადაწყვეტილება ინდივიდუალური მონიტორინგის განხორციელების შესახებ.

თავი IV

სააგენტოს მიერ კანონის აღსრულების მიზნით გამოყენებული ღონისძიებები

მუხლი 17. კონტროლი და პასუხისმგებლობა

სააგენტო აკონტროლებს ავტორიზებული პირის მიერ "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ „ჟ“ „რ“ ქვეპუნქტებით, სააგენტოს ნორმატიული აქტებით და სახელმძღვანელო მითითებებით გათვალისწინებული მოთხოვნების და ვალდებულებების შესრულებას. აღნიშნული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს ავტორიზებული პირების დაჯარიმებას ამ კანონის 25-ე მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 18. აუდიტი

1. ავტორიზებული პირის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების კონტროლის მიზნით, სააგენტოს უფროსს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ავტორიზებული პირის საინფორმაციო-ტექნოლოგიური და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის აუდიტის ჩატარების შესახებ. გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს აუდიტის განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის ვინაობა და აუდიტორული შემოწმების საკითხი.

2. აუდიტორი უფლებამოსილია შეამოწმოს შემოწმების საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტები მათი განთავსების ადგილზე, გადაიღოს დოკუმენტების ასლები, სპეციალური ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებებით შეამოწმოს ავტორიზებული პირის აპარატურული ან/და ქსელური ინფრასტრუქტურა, მოსთხოვოს ავტორიზებული პირის წარმომადგენლებს ინფორმაცია და ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებები შესამოწმებელ საკითხთან დაკავშირებით.

3. აუდიტზე უფლებამოსილი პირი დამტკიცებული ფორმით ადგენს აუდიტის დასკვნას. დასკვნაში უნდა მიეთითოს: აუდიტის ჩატარების დღე, დრო და ადგილი; აუდიტის ჩატარების საფუძველი; ავტორიზებული პირის მხრიდან აუდიტზე დამსწრე პირის ვინაობა; შემოწმებული დოკუმენტაციის ჩამონათვალი, თუ ისინი ადგილზე შემოწმდა; შემოწმებული აპარატურული ან/და ქსელური ინფრასტრუქტურა და შემოწმების მიზნით გამოყენებული აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებები; მიღებული ზეპირი ახსნა-განმარტებების მიმოხილვა (მათი წერილობითი მიწოდების შემთხვევაში წერილობითი მასალა უნდა დაერთოს აქტს); დასკვნა, რომელშიც აღინიშნება გამოვლენილი დარღვევები და შეუსაბამობები; რეკომენდაციები და სახელმძღვანელო მითითებები, ამგვარის არსებობის შემთხვევაში; აუდიტის ჩატარებაზე უფლებამოსილი

პირის და ავტორიზებული პირის (მისი წარმომადგენლის), ხოლო მის მიერ ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში - სულ ცოტა ორი დამსწრის ხელმოწერა.

4. თუ აუდიტის დასკვნის გარეშეც საკმარისი მტკიცებულებები არსებობს მოთხოვნებისა და ვალდებულებების დარღვევის შესახებ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე იწყება ადმინისტრაციული წარმოება დამრღვევი პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით, რაც ეცნობება დამრღვევს.

5. თუკი აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ დამრღვევი პირის ქმედება შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრული დანაშაულის ნიშნებს, სააგენტო აუდიტის მასალებს დაუყოვნებლივ წარუდგენს საგამომიებო ორგანოს და კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას შესაბამისი რეაგირებისთვის.

მუხლი 19. პასუხისმგებლობა

1. სააგენტო უფლებამოსილია "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის პ) და ჟ) ქვეპუნქტებით, სააგენტოს ნორმატიული აქტებით და სახელმძღვანელო მითითებებით გათვალისწინებული მოთხოვნების და ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ავტორიზებული პირი წერილობით გააფრთხილოს, ხოლო დენადი ხასიათის დარღვევის სააგენტოს უფროსის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში აღმოუფხვრელობისთვის ან 1 წლის განმავლობაში ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში, დაჯარიმოს 30 000 ლარის ოდენობით.

2. ავტორიზებული პირის დაჯარიმების შემდეგ მის მიერ დენადი ხასიათის დარღვევის გაგრძელების ან/და დაჯარიმებიდან 1 წლის განმავლობაში ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია დამრღვევს დააკისროს ჯარიმა 90 000 ლარის ოდენობით.

3. ავტორიზებული პირის მეორედ დაჯარიმების შემდეგ, მის მიერ დენადი ხასიათის დარღვევის გაგრძელების ან მეორედ დაჯარიმების შემდეგ, მაგრამ პირველი დაჯარიმებიდან 1 წლის განმავლობაში, ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია დამრღვევს დააკისროს ჯარიმა 200 000 ლარის ოდენობით.

4. ავტორიზებული პირის მესამედ დაჯარიმების შემდეგ, მის მიერ დენადი ხასიათის დარღვევის გაგრძელების ან მესამედ დაჯარიმების შემდეგ, მაგრამ პირველი დაჯარიმებიდან 1 წლის განმავლობაში, ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში, მეოთხედ დაჯარიმება იწვევს ავტორიზაციის ავტომატურ შეჩერებას. სააგენტო აცნობებს ელექტრონული კომუნიკაციების კომისიას ავტორიზებული პირის მეოთხედ დაჯარიმების და ავტორიზაციის ავტომატური შეჩერების შესახებ. კომისია უზრუნველყოფს ავტორიზაციის შეჩერების რეგისტაციას ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. გაფრთხილებისა და დაჯარიმების შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება მიიღება მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით. გადაწყვეტილების მიღების თაობაზე წერილობით ეცნობება პირს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 7 დღის ვადაში.

6. ჯარიმის გადახდა უნდა მოხდეს ჯარიმის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების დამრღვევისთვის ჩაბარებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. ჯარიმა ჩაირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

7. დამრღვევის მიერ ჯარიმის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულებას უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აღსრულების ეროვნული ბიურო სააგენტოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.

თავი V

სააგენტოს სისტემა და ორგანიზაცია

მუხლი 20. სააგენტოს უფროსის დანიშვნა და გათავისუფლება

1. სააგენტოს უფროსს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

2. სააგენტოს უფროსის კანდიდატი შეირჩევა სპეციალური კომისიის მიერ, რომელიც შედგება შვიდი წევრისგან. სპეციალური კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ა) საქართველო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი - სპეციალური კომისიის თავმჯდომარე;

ბ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე (კომისიის წევრად ნიშნავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე);

გ) საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე;

დ) საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე;

ე) საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე;

ვ) საქართველოს სახალხო დამცველი;

ზ) საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი;

3. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი შეარჩევს და კომისიას დასამტკიცებლად წარუდგენს სააგენტოს უფროსობის არანაკლებ სამ კანდიდატს. წარდგენილ კანდიდატებს კომისიის სხდომაზე ერთდროულად ეყრებათ კენჭი. კენჭისყრა ფარულია. სპეციალური კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ სხდომას ესწრება კომისიის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. დამტკიცებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს კომისიის სრული შემადგენლობის ნახევარზე

მეტის ხმას. თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა, განმეორებით ეყრება კენჭი საუკეთესო შედეგის მქონე 2 კანდიდატს. თუ ამჯერადაც ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, ან ვერ გამოვლინდა საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ერთი კვირის ვადაში სპეციალურ კომისიას წარუდგენს სხვა კანდიდატურებს. პროცედურა მეორდება სააგენტოს უფროსის კანდიდატის დამტკიცებამდე.

4. სპეციალური კომისიის მიერ დამტკიცებულ სააგენტოს უფროსის კანდიდატურას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი დასანიშნად წარუდგენს პრემიერ-მინისტრს.

5. სააგენტოს უფროსის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს არანაკლებ 30 წლის, უმაღლესი განათლების, ქმედუნარიანი, საკომუნიკაციო ან ინფორმაციულ ტექნოლოგიებში შესაბამისი გამოცდილების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს სამართალდამცავ ორგანოში მუშაობის სულ ცოტა 2 წლის გამოცდილება და რომელიც ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას. სააგენტოს უფროსის თანამდებობა არ შეიძლება დაიკავოს საქართველოს მოქალაქემ, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეა.

6. სააგენტოს უფროსი სამსახურის უფროსის წარდგინებით პრემიერ-მინისტრის მიერ თანამდებობიდან თავისუფლდება, თუ:

ა) შეუწდა საქართველოს მოქალაქეობა;

ბ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენი;

გ) სასამართლომ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარა, გარდაცვლილად გამოცხადდა ან მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

დ) დაიკავა მისთვის შეუთავსებელი თანამდებობა ან ახორციელებს შეუთავსებელ საქმიანობას;

ე) გადადგა თანამდებობიდან;

ვ) გარდაიცვალა;

ზ) ზედიზედ 4 თვის განმავლობაში ვერ ასრულებს მისთვის კანონით, სააგენტოს დებულებით ან სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს;

თ) ჯეროვნად ვერ ასრულებს მისთვის კანონით, სააგენტოს დებულებით ან სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

მუხლი 21. სააგენტოს უფროსი და მისი მოადგილეები

1. სააგენტოს ხელმძღვანელობს სააგენტოს უფროსი.

2. სააგენტოს უფროსი:

ა) აწესრიგებს სააგენტოს კომპეტენციის სფეროსთვის მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გამოსცემს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად და იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული ამ საკანონმდებლო აქტით;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

დ) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილისა და მოადგილეების კანდიდატურებს;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს მოსამსახურეებს, განსაზღვრავს მათ უფლებამოსილებებს;

ვ) შეიმუშავებს წინადადებებს სააგენტოს დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, მათ შორის სააგენტოს ბიუჯეტის შესახებ და შესაბამის პროექტებს წარუდგენს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს;

ზ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განკარგავს სააგენტოს სახსრებს და ქონებას;

თ) ქმნის კომისიებსა და სამუშაო ჯგუფებს;

ი) წარმოადგენს სააგენტოს საერთაშორისო და სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობებში;

კ) მოსამსახურეებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანიჭებს სახელმწიფო სპეციალურ წოდებებს;

ლ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენციის ფარგლებში წახალისებს და დისციპლინურ პასუხისმგებლობას აკისრებს მოსამსახურეებს. შუამდგომლობს სამსახურის უფროსთან სააგენტოს მოსამსახურის სახელმწიფო ჯილდოზე წარსადგენად;

მ) სამსახურის უფროსის თანხმობით ამტკიცებს სააგენტოს შიდა სტრუქტურას, საშტატო ნუსხასა და მოსამსახურეთა თანამდებობრივ სარგოებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; ნ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. სააგენტოს უფროსს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილეები.

4. სააგენტოს უფროსის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს სააგენტოს უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი.

5. სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილისა და მოადგილეების უფლებამოსილება განისაზღვრება სააგენტოს დებულებით, სააგენტოს უფროსის სამართლებრივი აქტებით და სხვა ნორმატიული აქტებით.

6) სააგენტოს უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში ახალი უფროსის დანიშვნამდე, სააგენტოს უფროსის არყოფნის ან მის მიერ მოვალეობის შესრულების სხვაგვარად შეუძლებლობის შემთხვევაში, სააგენტოს უფროსის მოვალეობას ასრულებს მისი პირველი მოადგილე, ხოლო პირველი მოადგილის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, სამსახურის უფროსის მიერ განსაზღვრული ერთ-ერთი მოადგილე.

მუხლი 22. სააგენტოს უფროსის თანამდებობრივი შეუთავსებლობა

სააგენტოს უფროსის თანამდებობა შეუთავსებელია საჯარო ან კერძო სამსახურში ნებისმიერ თანამდებობასთან. სააგენტოს უფროსს უფლება არა აქვს ახორციელებდეს რაიმე ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობისა. არ შეიძლება სააგენტოს უფროსი იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან სხვაგვარად მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

მუხლი 23. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის კომპეტენცია

1. ამ კანონის მიზნებისთვის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი:

ა) საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს სააგენტოს უფროსის კანდიდატურას ამ კანონის 20-ე მუხლით დადგენილი წესით;

ბ) სააგენტოს უფროსის წარდგინებით ნიშნავს სააგენტოს უფროსის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს;

გ) ამტკიცებს სააგენტოს დებულებას, განსაზღვრავს მის ძირითად სტრუქტურას და სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების კომპეტენციას;

2. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის არყოფნის ან უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე, ხოლო მისი არყოფნის ან უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, სამსახურის უფროსის ერთ-ერთი მოადგილე.

მუხლი 24. სააგენტოს მოსამსახურე

1. სააგენტოს მოსამსახურე არის საჯარო მოსამსახურე.

2. სააგენტოს მოსამსახურეს შეიძლება ჰქონდეს სახელმწიფო სპეციალური წოდება.

3. სააგენტოს შეიძლება ჰყავდეს ღია და ფარულ შემადგენლობაში მყოფი მოსამსახურეები.

4. თუ სააგენტოს მოსამსახურე თეორიულ-პრაქტიკული სწავლების მიზნით მონაწილეობას მიიღებს სააგენტოს მიერ შეთავაზებულ სპეციალური მომზადების პროგრამაში და ეს პროგრამა სააგენტოს მიერ ფინანსდება, მოსამსახურესა და სააგენტოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მას უფლება არა აქვს, საკუთარი ინიციატივით გათავისუფლდეს სამსახურიდან ამ პროგრამის დასრულებიდან 2 წლის განმავლობაში. ეს წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ მოსამსახურე სააგენტოს აუნაზღაურებს მისი თეორიულ-პრაქტიკული სწავლებისთვის გაწეულ ხარჯებს.

თავი VI

კონტროლი და ზედამხედველობა სააგენტოს საქმიანობაზე

მუხლი 25. საპარლამენტო კონტროლი

1. სააგენტოს საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს პარლამენტი საპარლამენტო კონტროლის ფორმების გამოყენებით, ხოლო იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ამ კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობასთან - საპარლამენტო კონტროლი ხორციელდება საქართველოს პარლამენტის ნდობის ჯგუფის მეშვეობით, ამ მუხლით განსაზღვრულ ფარგლებში და დადგენილი წესით.

2. სააგენტო ყოველწლიურად წარუდგენს ნდობის ჯგუფს სტატისტიკურ და გაწეული საქმიანობის განზოგადებულ ანგარიშს.

მუხლი 26. პრემიერ-მინისტრის კონტროლი

1. სააგენტო ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე.
2. სააგენტო ყოველწლიურად წარუდგენს პრემიერ-მინისტრს სტატისტიკურ და მის მიერ გაწეული საქმიანობის განზოგადებულ ანგარიშს.

მუხლი 27. ზედამხედველი მოსამართლის კონტროლი

ზედამხედველი მოსამართლე ახორციელებს სააგენტოს მიერ "კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების აღსრულებას და "კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14⁷ მუხლის საფუძველზე მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლს "კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის 14⁶ მუხლით დადგენილი წესით და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

მუხლი 28. სასამართლო კონტროლი

სამსახურის საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული პირადი ცხოვრებისა და საკომუნიკაციო შეტყობინებათა ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვასთან ექვემდებარება სასამართლო კონტროლს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 29. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის კონტროლი

პერსონალურ მონაცემთა დაცვს ინსპექტორი აკონტროლებს სააგენტოს მიერ სისხლის სამართალი საპროცესო კოდექსის 136-ე და 143³ მუხლის საფუძველზე, ასევე "ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის" შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე განხორციელებულ ქმედებებს "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 35¹ მუხლით დადგენილი წესით და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

მუხლი 30. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტროლი

1. სააგენტოს საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი.

2. ამ კანონის 26-ე მუხლით გათვალისწინებული სტატისტიკური და გაწეული საქმიანობის განზოგადებულ ანგარიშის პრემიერ-მინისტრთან წარდგენამდე, სააგენტოს უფროსი ამ სტატისტიკურ და განზოგადებულ ანგარიშს წარუდგენს სამსახურის უფროსს.

მუხლი 31. საფინანსო საბიუჯეტო კონტროლი

სააგენტოს მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების გამოყენებასა და ხარჯვას აკონტროლებს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

თავი VII

სააგენტოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და დაფინანსება

მუხლი 32. სააგენტოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და დაფინანსება

1. სააგენტოს დაფინანსების წყაროებია:
 - ა) სახელმწიფო საბიუჯეტო ასიგნებები.
 - ბ) სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევისთვის დადგენილი საფასური;
 - გ) მიზნობრივი კრედიტები და გრანტები;
 - დ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
 - ე) საჩუქრის და შემოწირულობის სახით მიღებული შემოსავლები;
 - ვ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.
2. სააგენტოს ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იქნეს ცალკე პროგრამული/ორგანიზაციული კოდით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევისთვის საფასურის განაკვეთები, ასევე საფასურის გადახდის, მისი გადახდისგან განთავისუფლების და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესი და პირობები განისაზღვრება სააგენტოს ნორმატიული აქტით.
4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახსრები და შემოსავლები სრულად ხმარდება სააგენტოს მიზნების განხორციელებას და ფუნქციების შესრულებას, ასევე შესაძლებელია მოხმარდეს სამსახურის სისტემის განვითარებას. სააგენტოს სახსრების სხვა მიზნით გამოყენება აკრძალულია..
5. სააგენტოს წარმომადგენლობითი ხარჯები ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 33. სააგენტოს ქონება

1. სააგენტოს საკუთარი მიზნების განსახორციელებლად და ფუნქციების შესასრულებლად აქვს ქონება, რომლის შექმნის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

2. სააგენტოს ქონება შედგება ძირითადი და საბრუნავი საშუალებების, აგრეთვე სხვა მატერიალური და არამატერიალური ფასეულობებისა და ფინანსური რესურსებისგან, რომლებიც აისახება სააგენტოს დამოუკიდებელ ბალანსზე.

თავი IX

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 34. გარდამავალი დებულებანი

1. საქართველოს მთავრობამ 2017 წლის 31 მარტამდე უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დებულებაში შესაბამისი ცვლილების შეტანა.

2. სამსახურმა:

ა) 2017 წლის 31 მარტამდე დაამტკიცოს სააგენტოს დებულება

ბ) საჭიროების შემთხვევაში, სამსახურის მიერ „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ასიგნებებით გაფორმებულ სატელეკომუნიკაციო და კავშირგაბმულობის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებში შემსყიდველად განსაზღვროს სააგენტო.

3. სააგენტომ:

ა) 2017 წლის 31 მარტამდე უზრუნველყოს დღეს მოქმედი იმ სამართლებრივი აქტების შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღება რომელიც ეხება ფარული საგამომიებო მოქმედების ღონისძიების განხორციელებას, ამ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაცნობას, დამუშავებას, შენახვას, გაცემას და განადგურებას კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის არქიტექტურისა და შესაბამისი ინტერფეისების განსაზღვრას;

ბ) 2019 წლის 31 მარტამდე უზრუნველყოს გეოლოკაციის რეალურ რეჟიმში განსაზღვრის სიტემის და ამ კანონის მე-15 მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული ელექტრონული სისტემის ამოქმედებისთვის საჭირო შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

გ) 2017 წლის 1 ოქტომბრამდე უზრუნველყოფს ამ კანონის მე-2 მუხლის „ი“ „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული კონტროლის ელექტრონული სისტემების ამოქმედებას ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებებთან მიმართებით.

დ) 2017 წლის 31 მარტამდე უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებამდე ამ კანონის მე-2 მუხლის „ი“ „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული კონტროლის ელექტრონული სისტემების ამოქმედებას ფარულ საგამომიებო მოქმედებებთან მიმართებით.

ე) 2019 წლის 31 მარტამდე შექმნას ის ელექტრონული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სსიპ „112“-ში განხორციელებული შეტყობინების ინიციატორი საკომუნიკაციო აღჭურვილობის მომხმარებლის შესახებ მონაცემების ავტომატურ მიწოდებას სსიპ „112“-სთვის.

ვ) 2017 წლის 1 აპრილამდე უზრუნველყოს სამსახურიდან ქონების (მათ შორის, უძრავი ქონება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სხვა ქონება) მიღება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4) სააგენტო, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი წარმოიშობა და იურიდიული პირის სტატუსს იძენს დებულების დამტკიცების მომენტიდან.

5) ამ კანონით დადგენილი წესით სააგენტოს უფროსის დანიშვნამდე სააგენტოს უფროსის მოვალეობას ასრულებს ამ კანონის ამოქმედებამდე დანიშნული საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

6) ამ კანონით დადგენილი წესით სააგენტოს უფროსი დანიშნული უნდა იქნას ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში.

7) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ ამ კანონის ამოქმედების მომენტიდან ჩაითვალოს სააგენტო.

8) ამ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების მიღებამდე იურიდიულ ძალას ინარჩუნებს ამ კანონის ამოქმედებამდე მიღებული შესაბამისი სამართლებრივი აქტები.

9) ამ კანონის საფუძველზე სააგენტოს მიერ ხელშეკრულებების დადებამდე იურიდიულ ძალა ინარჩუნებს ამ კანონის ამოქმედებამდე დადებული შესაბამისი ხელშეკრულებები.

10) ამ კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და მე-15 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სისტემების შექმნამდე, სსიპ "112"-ში განხორციელებული შეტყობინების ინიციატორი საკომუნიკაციო აღჭურვილობის მომხმარებლის და მობილური საკომუნიკაციო აღჭურვილობის ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება განხორციელდეს მომხმარებლის და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების ცენტრალური ბანკიდან.

11) ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებამდე ფარული საგამოძიებო მოქმედებებზე კონტროლი ხორციელდება ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად შექმნილი ელექტრონული სისტემით.

12) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მოამზადოს „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელშიც აისახება ამ კანონიდან გამომდინარე შესაბამისი ცვლილებები, ხოლო „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანამდე სააგენტოს დაფინანსება განხორციელდეს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

მუხლი 35. დასკვნითი დებულებანი

1. ეს კანონი, გარდა მე-5 მუხლის მე-5 პუნქტისა, მე-7 მუხლის „ა.დ“ ქვეპუნქტისა, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებისა, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა-დ“ ქვეპუნქტებისა, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა, მე-3 პუნქტისა, მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, „ბ-ე“ ქვეპუნქტებისა, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა, მე-9 მუხლის მე-3-მე-5 პუნქტებისა, მე-10 მუხლისა, მე-13 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებისა, მე-14 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა, მე-16 მუხლისა, მე-4 და მე-5 თავებისა, 32-ე და 35-ე მუხლებისა, და 38-ე მუხლის მე-2 პუნქტისა ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის მე-7 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა-დ“ ქვეპუნქტები, მე-3 პუნქტი, მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, „ბ-ე“ ქვეპუნქტები, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტები, მე-9 მუხლის მე-3-მე-5 პუნქტები, მე-13 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები, მე-14 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები, მე-16 მუხლი, მე-4 და მე-5 თავები, 32-ე და 35-ე მუხლები ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან.

3. ამ კანონის მე-7 მუხლის „ა.დ“ ქვეპუნქტი, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, მე-10 მუხლი და მე-15 მუხლის მე-3 პუნქტი ამოქმედდეს 2019 წლის 30 მარტიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი